საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-295

29/03/2020

ქ. თბილისი

მესტიის მუნიციპალიტეტში, მულახის თემში, ადგილობრივი ღელეს ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, მულახის თემში, ადგილობრივი ღელეს ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავარიული უბანი მდებარეობს შემდეგ GPS კოორდინატებზე: X – 326203.310, Y- 4767708.410; X – 326213.580, Y- 4767655.380. ელექტრონული გადამოწმების შედეგად საპროექტო უბნიდან პირდაპირი მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაახლოებით - 100 მ-ს შეადგენს.

ავარიული უბნის სიგრძეა - 50 მეტრი. პროექტით დაგეგმილია ადგილობრივი ღელეს მარცხენა ნაპირის დაცვა გვერდითი ეროზიისაგან. გათვალისწინებულია 50 მ სიგრძეზე ნაპირდაცვითი გაბიონის მოწყობა. გაბიონი წარმოდგენილია 5X2X0.3 მ ზომის ლეიბებზე დაფუძნებული ორიარუსიანი კედლის სახით. პირველი იარუსი ეწყობა 2X1X1 მ ზომის გაბიონის ყუთებისგან, ხოლო მეორე იარუსი - 1.5X1X1 მ. გაბიონების ლეიბის ქვეშ ეფინება გეოტექსტილი. გაბიონის უჯრედის ზომა შეადგენს 8X10 ს. გაბიონის კედლის უკან ეწყობა უკუყრილი.

საპროექტო ზონაში საშიში გეოლოგიური პროცესებიდან განვითარებულია ღვარცოფები და დატბორვა. ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმეა 1,97 მ. საპროექტო ნაგებობა გაანგარიშებულია 1 %-იანი უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების ჩატარების პერიოდში სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოები დროის მოკლე მონაკვეთში გაგრძელდება, ამასთან ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის (50 მ ნაპირსამაგრის მოწყობა) გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე და არსებულ ჰაბიტატზე მოსალოდნელი არ არის. საპროექტო სამუშაოების ჩატარების დროს (ნაგებობის ნაპირზე განთავსების პროცესში) ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, ამიტომ სამშენებლო მოედანზე დაწესდება

შესაბამისი კონტროლი. სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება სასენიზაციო ორმოში.

საპროექტო ტერიტორიის მდებარეობის, განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების ფარგლებში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე არ არის მოსალოდნელი. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ზონის სიახლოვეს არ გვხდება ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი საქმიანობის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია საწვავის ან ზეთების დაღვრისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში, რომელიც ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე არ იქნება მნიშვნელოვანი. ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების პროცესში ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი არ არის.

პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენები არ წარმოიქმნება. სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება გათვალისწინებულია სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში, რომელიც სამუშაოების დასრულების შემდგომ გადაეცემა ამ სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი უფლების მქონე კომპანიას. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე. სამშენებლო მოედანზე არ იქნება შეტანილი არავითარი სხვა სახის სამშენებლო მასალა, გარდა პროექტით გათვალისწინებული გაბიონის ყუთებისა.

ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელებისას ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკავშირებული იქნება სამშენებლო ტექნიკის მუშაობასთან. ატმოსფერულ ჰაერში CO^2-ის გაფრქვევა შემოიფარგლება სამშენებლო ტექნიკის მუშაობით, ხოლო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში. ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ნაპირდაცვითი სამუშაოები გაგრძელდება დროის მოკლე პერიოდში.

ნაპირსამაგრის მოწყობის ეტაპზე (დროებით) მოსალოდნელია ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება, ხოლო განსახორციელებელი სამუშაოების სპეციფიკის, მასშტაბისა და ტექნიკის განსაზღვრულ საათებში მუშაობის გათვალისწინებით სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი ხმაური და ვიბრაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლის ფონურ მდგომარეობას.

პროექტის განხორციელებით მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის. ამასთან, გათვალისწინებული არ არის დიდი რაოდენობით ხანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში და მდინარის პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამუშაო ზონის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის.

პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, ვინაიდან საპროექტო ზონის სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განხორციელება არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვანი სახის ზემოქმედებასთან. პროექტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა და ბუნებრივი ქვით მოწყობილი ნაგებობა შეერწყმება არსებულ გარემოს.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამინისტრომ უზრუნველყო სკრინინგის განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან სამინისტროში არ დაფიქსირებულა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, მულახის თემში, ადგილობრივი ღელეს ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი